



**კავკასიის უნივერსიტეტი**

**კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლა**

<b>საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება</b>	
დიპლომატია და საერთაშორისო ურთიერთობები	

<b>საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ინგლისურ ენაზე</b>	
Diplomacy and International Relations	

<b>უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური</b>	
მაგისტრატურა	

<b>საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი</b>	
აკადემიური	

<b>სწავლების ენა</b>	
ქართული, ინგლისური კომპონენტებით	

<b>მისანიჭებელი კვალიფიკაცია</b>	
----------------------------------	--

<b>ქართულად</b>	საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი
-----------------	-------------------------------------

<b>ინლისურად</b>	Master of International Relations
------------------	-----------------------------------

<b>სამაგისტრო პროგრამის დამტკიცების და განახლების თარიღი</b>	<p>დამტკიცებულია კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის 2009 წლის 7 აგვისტოს ბრძანებით N 01/05-111;</p> <p>განახლებულია 2019 წლის 13 თებერვლის ბრძანებით N 01/01-27 „კავკასიის სახელმწიფო მართვის დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის განახლებული სახით დამტკიცების შესახებ“.</p>
--	--

<b>სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი</b>	<p style="text-align: right;">ხელმძღვანელი:</p> <p style="text-align: center;">ასოცირებული პროფესორი, დოქტორი <b>ევა აკობია</b></p> <p style="text-align: right;">თანახელმძღვანელი:</p>
--	---

**პროგრამის მოცულობა კრედიტებით**

დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს, წელიწადში – 60 ECTS კრედიტს. შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამის ოფიციალური ხანგრძლივობა შეადგენს 2 აკადემიურ წელს. პროგრამის ვადის ამოწურვის შემდეგ სტუდენტს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით სწავლა განაგრძოს დამატებითი სემესტრების (არაუმეტეს 6 სემესტრისა) განმავლობაში, სტუდენტის სტატუსის შენარჩუნებით.

აკადემიური წელი არის სემესტრების ერთობლიობა და მათ შორის დასვენების პერიოდი. აკადემიური წელი მოიცავს ორ სემესტრს. სემესტრი მოიცავს სასწავლო კვირათა ერთობლიობას, დამატებითი გამოცდების ჩატარებისა და დამატებით გამოცდებზე სტუდენტის მიღწევის შეფასების პერიოდს.

სწავლა ასევე შეიძლება განხორციელდეს ზაფხულის სემესტრშიც, სკოლის საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად. ზაფხულის სემესტრი შედგება 6 სასწავლო კვირისგან, სადაც სტუდენტმა შეიძლება დააგროვოს მაქსიმუმ 15 ECTS კრედიტი.

1 ECTS კრედიტი უდრის 25 საათს, რაც მოიცავს, როგორც სტუდენტის საკონტაქტო დატვირთვის დროს (ლექცია, სემინარი, პრაქტიკუმი და სხვა), ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობის დროს (შუალედური და საბოლოო შეფასებისათვის, საშინაო დავალების მომზადების, სახლში წერითი დავალებების მომზადების (ესე, კვლევითი ნაშრომი) და პრეზენტაციისათვის განკუთვნილ საათსა.

დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს და შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტისაგან. სასწავლო კომპონენტში შედის 52 ECTS – სავალდებულო სასწავლო კურსების მოდული, 38 ECTS სპეციალობის არჩევითი საგნების მოდული, რომელიც მოიცავს: საგარეო პოლიტიკის, უსაფრთხოებისა და მშვიდობის; რეგიონალიზმისა და სექტორული პოლიტიკის; პოლიტიკისა და საჯარო მმართველობის ბლოკებს.

დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტისათვის სავალდებულოა სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და დაცვა, რომელიც მოიცავს 30 ECTS კრედიტს. სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პარალელურად სტუდენტი ვალდებულია გაიაროს სავალდებულო სამაგისტრო ნაშრომის კვლევის დიზაინი (3 ECTS).

დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ამღვეს სტუდენტს შესაძლებლობას არჩევითი მოდულის საგნების ნაცვლად აირჩიოს 10 ECTS თავისუფალი კრედიტი კავკასიის უნივერსიტეტის სხვა სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებიდან და/ან ECTS კრედიტების მიმნიჭებელი სხვა პროგრამებიდან მობილობის ფარგლებში.

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა**

კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა:

- ა) ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- ბ) საერთო სამაგისტრო გამოცდის (A ტესტი) წარმატებით ჩაბარება;
- გ) შიდასაუნივერსიტეტო პროცედურების წარმატებით გავლა. შიდასაუნივერსიტეტო პროცედურები შედგება სააპლიკაციო პაკეტის მიღების, ენის ფლობის დონის დადასტურებისა და სპეციალობაში ინტერვიუსაგან.

სააპლიკაციო პაკეტში შედის:

- 1. დიპლომის ნოტარიულად დამოწმებული ასლი და ნიშნების ფურცელი;
- 2. აპლიკანტის CV (ავტობიოგრაფია);
- 3. 2 ცალი პასპორტის ფოტოსურათი (იგივე ჩაწერილი CD-ზე);
- 4. პირადობის მოწმობის ასლი;
- 5. სამხედრო მიწერის მოწმობის ასლი (მამაკაცებისთვის);

6. საერთო სამაგისტრო გამოცდის ბარათი;
7. სამოტივაციო წერილი, რომელშიც აპლიკანტი აღწერს პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მოტივაციას;
8. შესაძლებელია ნაშრომი/პროექტი/სტატიის წარდგენა, რომელიც საუკეთესოდ ასახავს აპლიკანტის აკადემიური წერისთვის საჭირო კომპეტენციებს.

პროგრამაზე ჩარიცხვის ერთ-ერთი წინაპირობაა ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა. ამისათვის, აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს ინგლისური ენის B2 დონის დამადასტურებელი სერტიფიკატი, ან ამ ცოდნის დადასტურება უნდა შეძლოს დიპლომის დანართით, ან გაიაროს ინგლისურ ენაში შიდასაუნივერსიტეტო გასაუბრება/ტესტირება, რომლის შეფასების კრიტერიუმები დგინდება წინასწარ, სკოლის საბჭოს მიერ. აპლიკანტები, რომლებსაც დასრულებული აქვთ ინგლისურენოვანი საბაკალავრო ან/და სამაგისტრო პროგრამები, თავისუფლდებიან აღნიშნული სერტიფიკატის და შიდასაუნივერსიტეტო გასაუბრება/ტესტირების ვალდებულებისაგან.

საბუთების შემოწმების ეტაპის შემდგომ აპლიკანტები გადიან გასაუბრებას მიმღებ კომისიასთან, რომლის ფარგლებშიც დგინდება დარგის შესახებ აპლიკანტის საბაზისო ცოდნა და უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების მოტივაცია. აპლიკანტი ფასდება 100 ქულიანი სისტემით, რომელშიც 60 ქულას წარმოადგენს ერთიანი სამაგისტრო გამოცდის A ტესტის შედეგები, ხოლო 40 ქულა წარმოადგენს მიმღებ კომისიასთან გასაუბრების შედეგს (20 ქულით ფასდება სპეციალობის ცოდნა, ხოლო 20 ქულით - აპლიკანტის პრეზენტაბელურობა და სწავლის გაგრძელების მოტივაცია/უნარი).

პროგრამაზე სტუდენტის მობილობით გადმოსვლის შემთხვევაში, საკითხს შეისწავლის პროგრამის დირექტორი და სკოლის დეკანი ზემოთ დათქმული პირობების გათვალისწინებით. გადაწყვეტილება სტუდენტის მობილობის შესახებ ფორმდება უნივერსიტეტის პრეზიდენტის ერთიანი ბრძანებით.

**დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება**

<p align="center"><b>სამაგისტრო პროგრამის მიზანი</b></p>	<p>დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტები, რომლებიც აღჭურვილი არიან საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის შესახებ თეორიული, მულტიდისციპლინური, სისტემური და სიღრმისეული ცოდნით; გააჩნიათ საერთაშორისო პოლიტიკის სფეროსთან დაკავშირებული კონცეფციების, თეორიებისა და ანალიზის მოდელების საფუძვლიანი და პრაქტიკული ცოდნა; შეუძლიათ ინტეგრირებული მიდგომების საფუძველზე, საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის სხვადასხვა საკითხებზე მკაფიო კომუნიკაცია და შესაბამისი კვლევითი მეთოდების გამოყენებით კვლევითი თუ პოლიტიკის დოკუმენტის შექმნა. ასევე, შეუძლიათ შესაბამის პროფესიულ თანამდებობებზე სამართლიანობის, აქტიური მოქალაქეობის, დემოკრატიული ფასეულობებისა და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებზე დაყრდნობით ლიდერული ფუნქციების შესრულება.</p> <p>კავკასიის უნივერსიტეტის მისიაა “კვლევებზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის დანერგვით ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრებზე კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, ზნეობრივად სრულყოფილი, დემოკრატიის იდეალების ერთგული სპეციალისტების მომზადება და საზოგადოების საგანმანათლებლო მოთხოვნების დაკმაყოფილება”. კავკასიის უნივერსიტეტის მისიასთან სრულ თანხვედრაშია პროგრამის მიზნები, რომლებიც ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა და რა წვლილს შეიტანს იგი დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.</p>
<p align="center"><b>სამაგისტრო</b></p>	<p align="center"><b>ცოდნა</b></p>

<p><b>პროგრამის სწავლის შედეგი</b></p>	<p>1. კურსდამთავრებულს აქვს საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის სფეროს ღრმა, სისტემური და ინტერდისციპლინური ცოდნა; აცნობიერებს საერთაშორისო პოლიტიკური პროცესების კომპლექსურ ხასიათს და მათ გავლენას სახელმწიფოთა ეროვნულ უსაფრთხოებასა და ეროვნულ ინტერესებზე.</p> <p>2. გააზრებული აქვს საერთაშორისო პოლიტიკის არსი და საერთაშორისო სისტემის მნიშვნელობა, ამ სისტემაში აქტორებს შორის არსებული ურთიერთობების მოტივები, მიზნები და ურთიერთქმედების შესაძლო შედეგთა ფორმები. ესმის ამ ურთიერთობებში დიპლომატიის მნიშვნელობა და როლი.</p> <p>3. აცნობიერებს საქართველოს მნიშვნელობას და როლს თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში; აქვს საერთაშორისო ურთიერთობების სისტემისა და სტრუქტურის ცოდნა და ამ სისტემაში საქართველოს ინტერესების მკაფიო აღქმა.</p> <p><b>უნარები</b></p> <p>4. კურსდამთავრებულს შეუძლია საერთაშორისო ურთიერთობებში არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და გადაჭრა ნასწავლი თეორიული მიდგომების გამოყენებით; შეუძლია გააცნობიეროს ეროვნული, ან კონკრეტული ინტერესი, შეიმუშაოს ამ ინტერესის დამცველი პოზიცია, გამართოს დისკუსია ამ პოზიციის დაცვის მიზნით.</p> <p>6. შესწევს უნარი სწავლის პროცესში მიღებული ინფორმაცია და უნარები შეუსაბამოს დიპლომატიურ პრაქტიკაში ან საერთაშორისო პოლიტიკაში შექმნილ გარემოებებს და გამოიყენოს კონკრეტული პრობლემის გადაჭრისათვის.</p> <p>5. შეუძლია კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა და განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; შეუძლია გააანალიზოს ახალი განყენებული მონაცემები, მიღებული ინფორმაცია დაამუშაოს და დაუკავშიროს კონკრეტულ პრაქტიკულ შემთხვევას. აქვს კვლევის შედეგების ანალიზის, სინთეზისა და ეფექტურად წარდგენის უნარი.</p> <p><b>პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა</b></p> <p>7. აქვს საერთაშორისო ურთიერთობებსა და დიპლომატიაში არსებული ღირებულებებისა და სამართლებრივი ნორმების პატივისცემა; მოქმედებს და გადაწყვეტილებებს იღებს საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური ნორმებისა და კანონის უზენაესობის პრინციპების გათვალისწინებით.</p> <p>8. შეუძლია ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორებთან/აქტორებთან მჭიდრო თანამშრომლობით მიიღოს საერთაშორისო სამართლისა და სახელმწიფოთა თანამეგობრობაში დამკვიდრებული ფუნდამენტური პრინციპებისა და მშვიდობისა და სტაბილურობის დაცვაზე ორიენტირებული გადაწყვეტილებები. არის როგორც ინდივიდუალური, ასევე გუნდური მუშაობის პრინციპების დამცველი.</p>
<p><b>დასაქმების სფეროები</b></p>	<p>საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი შესაძლებელია დასაქმდეს ხელისუფლების ადმინისტრაციულ და საკანონმდებლო შტოებში, საერთაშორისო ორგანიზაციებში, ასევე არასამთავრობო სექტორში, სხვადასხვა პროფილის მქონე კერძო ორგანიზაციებში, მასობრივი ინფორმაციის გავრცელების საშუალებებში, სასწავლო დაწესებულებებში, განსაკუთრებით იმ თანამდებობებზე, რომლებიც დაკავშირებულია საგარეო და საერთაშორისო კავშირების წარმართვასთან.</p>
<p><b>სწავლის გაგრძელების საშუალება</b></p>	<p>მაგისტრს შეუძლია სწავლა გააგრძელოს სადოქტორო პროგრამებზე საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ, განსაკუთრებით ისეთ პროგრამებზე, რომლებიც უკავშირდება საერთაშორისო ურთიერთობებს,</p>

პოლიტიკის მეცნიერებებს, ევროპის მცოდნეობას, უსაფრთხოების კვლევებს და სხვა მომიჯნავე სპეციალობებს სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების სფეროდან.

### სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით შემოთავაზებული სასწავლო კურსების დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

შეფასების მიზანია იმის გარკვევა, თუ რამდენად არის მიღწეული სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგები. სტუდენტთა შეფასება არის მრავალკომპონენტური და უზრუნველყოფს კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას, რაც მიიღწევა კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმებისა და რუბრიკების გამოყენებით. სტუდენტთა შეფასება ეფუძნება შეფასების ოთხ ძირითად პრინციპს: ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდურობა, გამჭვირვალობა.

სტუდენტთა შეფასების გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. განმსაზღვრელი შეფასების მიზანია სტუდენტის მიღწევის ზუსტი შეფასება. იგი აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს სტუდენტის მიღწევის დონეს სასწავლო კურსით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებით. განმავითარებელი შეფასება სტუდენტის განვითარებაზეა მიმართული. იგი აწვდის სტუდენტს მიღწევებთან დაკავშირებით უკუკავშირს.

შეფასება 100-ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტს კრედიტი ენიჭება საბოლოო შეფასების საფუძველზე, რომელიც შედგება შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულათა ჯამისაგან.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს, რომელთათვისაც შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) საბოლოო შეფასებაში განსაზღვრულია ხვედრითი წილი და დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. კერძოდ, მაქსიმალური 100 ქულიდან შუალედური შეფასების ხვედრითი წილი არის 70 ქულა, ხოლო დასკვნითი შეფასების - 30 ქულა. შუალედური და დასკვნითი შეფასებების ორივე ფორმაში დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. შუალედურ შეფასებებში განსაზღვრულია შეფასების კომპონენტები, რომლებიც ჯამურად შეადგენენ 70 ქულას. შეფასების თითოეული კომპონენტისთვის, შეფასება ეყრდნობა წინასწარ განსაზღვრულ სწავლების მიზანსა და დავალების ფორმაზე ორიენტირებულ, ზუსტ, მკაფიო კრიტერიუმებს და მასზე დაყრდნობით შემუშავებულ შეფასების სქემებს/რუბრიკებს. სტუდენტმა შუალედურ შეფასებებში ჯამურად უნდა დააგროვოს 70 ქულის სულ მცირე 59%, რომ მოიპოვოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება. სტუდენტს დასკვნითი/დამატებითი გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება, თუ მან მიიღო 30 ქულის სულ მცირე 60%.

სტუდენტი უფლებამოსილია გავიდეს დამატებით გამოცდაზე, თუ იგი ვერ გადალახავს დასკვნითი

გამოცდის მინიმალურ კომპეტენციის ზღვარს. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს აკადემიური კალენდრით დადგენილ პერიოდში, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის ვადაში.

საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის ან შეფასების რომელიმე ფორმაში (შუალედური/დასკვნითი) მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ვერ გადალახვის შემთხვევაში სტუდენტს უფორმდება F-0 ქულა. სტუდენტების ცოდნის შეფასებისათვის გამოიყენება როგორც ზეპირი, ასევე წერიითი (ტესტი, ღია კითხვები, კვლევითი ესსე და სხვა) გამოკითხვა. შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახული იქნება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. სასწავლო პროცესის დაწყების წინ სილაბუსი იტვირთება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში.

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი) ფასდება 100 ქულით, ერთჯერადი შეფასების პრინციპის დაცვით. შეფასების კრიტერიუმები და პროცედურები მოცემულია კავკასიის უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის სკოლის სამაგისტრო ნაშრომის მომზადების და დაცვის შესახებ დებულებაში. სამაგისტრო ნაშრომი ფასდება იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას.

### სწავლებისა და სწავლის მეთოდები

დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმში დაბალანსებულია თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობები. პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტის სამეცნიერო ცოდნისა და ინფორმირებულობის გაზრდაზე, ანალიტიკური უნარების გამომუშავებაზე, მისი თანამედროვე ცოდნით აღჭურვილ პროფესიონალად ჩამოყალიბებაზე, მაგრამ ამავე დროს შესაბამისი დრო ეთმობა სტუდენტში თეორიული ცოდნის რეალურ ცხოვრებაში გამოყენების უნარების გამომუშავებას. სწორედ ამ მიზანს ემსახურება სასწავლო პროცესში მოწვეული სტუმრების პრეზენტაციების, დისკუსიების, სემინარების, ერთდღიანი ლექციების და მრგვალი მაგიდების ჩართვა, რომელიც სტუდენტებს აძლევს საშუალებას დაესწრონ გამოცდილი ადგილობრივი თუ უცხოელი პრაქტიკოსების საუბრებს და ინფორმაცია მიიღონ იმ მიდგომებზე, მეთოდებზე, ტენდენციებზე, რომლებიც დღეს აქტიურად გამოიყენება საერთაშორისო ურთიერთობებში. ლექციებზე და ნებისმიერი ტიპის სემინარებზე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საქართველოს ადგილისა და როლის განხილვას საერთაშორისო თანამეგობრობის კონტექსტში. პროგრამის ბოლოს სტუდენტი მოამზადებს სამაგისტრო ნაშრომს, სადაც იგი გამოიყენებს მიღებულ თეორიულ ცოდნასა და სამეცნიერო კვლევის უნარ-ჩვევებს. სამაგისტრო ნაშრომის მიმართ გათვალისწინებული მოთხოვნები გაწერილია კავკასიის უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის სკოლის სამაგისტრო ნაშრომის მომზადების და დაცვის შესახებ დებულებაში.

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, წერიითი მუშაობის მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, დისკუსია/დებატების მეთოდი, ჯგუფური (collaborative) მუშაობის მეთოდი, შემთხვევის ანალიზის (Case study) მეთოდი, როლური და სიტუაციური თამაშების მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდი, ელექტრონული სწავლების (e-learning) მეთოდი, აგრეთვე პრაქტიკული მეთოდები და სხვა. სწავლება-სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

### სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პირები

2 პროფესორი; 6 ასოცირებული პროფესორი; 2 ასისტენტ-პროფესორი; 1 ასისტენტი; 14 მოწვეული ლექტორი.

დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა

№	კოდი	წინაპირობა	სასწავლო კურსი/მოდული	სწავლების წელი				ჯამური ECTS კრედიტი
				I		II		
				ECTS კრედიტი				
				I სემესტრი	II სემესტრი	III სემესტრი	IV სემესტრი	
			<b>სასწავლო კომპონენტი</b>					
			<b>სავალდებულო სასწავლო კურსების მოდული</b>	<b>20</b>	<b>20</b>	<b>9</b>	<b>3</b>	<b>52</b>
1.	IRT 5250	არ აქვს	საერთაშორისო ურთიერთობების თეორია	6				
2.	POLT 5150	არ აქვს	პოლიტიკური თეორია	5				
3.	ECON 5150	არ აქვს	ეკონომიკა	5				
4.	AW 5150	არ აქვს	აკადემიური წერა	4				
5.	LAW 5350	არ აქვს	საერთაშორისო სამართალი		6			
6.	IS 5251	არ აქვს	საერთაშორისო უსაფრთხოება		5			
7.	NIR 5350	არ აქვს	ნაციონალიზმი და საერთაშორისო ურთიერთობები		5			
8.	RM 5251	არ აქვს	კვლევის მეთოდები		4			
9.	CMN 5350	არ აქვს	კონფლიქტების მართვა და მოლაპარაკებები			5		
10.	GFDP 5350	არ აქვს	საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა			4		
11.	TRD 5450	AW 5050 RM 5250	სამაგისტრო ნაშრომის კვლევის დიზაინი				3	
			<b>არჩევითი სასწავლო კურსების მოდული</b>	<b>10</b>	<b>10</b>	<b>18</b>		<b>38</b>
			<i>საგარეო პოლიტიკის, უსაფრთხოებისა და მშვიდობის ბლოკი</i>					
12.	IR 5050	არ აქვს	აშშ-ს მთავრობა და საგარეო პოლიტიკა	5				
13.	ICPB 5050	არ აქვს	საერთაშორისო კონფლიქტები და მშვიდობა	5				

№	კოდი	წინაპირობა	სასწავლო კურსის/მოდული	სწავლების წელი				ჯამური ECTS კრედიტი
				I		II		
				ECTS კრედიტი				
				I სემესტრი	II სემესტრი	III სემესტრი	IV სემესტრი	
14.	CA 5051	არ აქვს	აფხაზეთის კონფლიქტი	5				
15.	FPA 5050	არ აქვს	საგარეო პოლიტიკის ანალიზი: თეორიები და ქეისები		5			
16.	TP 5050	არ აქვს	მშვიდობის თეორიები		5			
17.	IT 5050	არ აქვს	საერთაშორისო ტერორიზმი			5		
18.	RGP 5051	არ აქვს	რუსეთის მთავრობა და საგარეო პოლიტიკა			4		
19.	DPE 5051	არ აქვს	დიპლომატიური პროტოკოლი და ეტიკეტი			4		
20.	PCCC 5051	არ აქვს	მშვიდობა, კონფლიქტები და თანამშრომლობა კავკასიაში			4		
			<b>რეგიონალიზმისა და სექტორული პოლიტიკის ბლოკი</b>					
21.	TEI 5050	არ აქვს	ევროპული ინტეგრაციის თეორიები	5				
22.	ECEE 5050	არ აქვს	ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ევროპეიზაცია		5			
23.	ERG 5050	არ აქვს	ენერგორესურსების გეოპოლიტიკა		5			
24.	EUAA 5051	არ აქვს	ევროკავშირთან ასოცირების საკანონმდებლო და ინსტიტუციური ასპექტები			4		
25.	IRG 5050	არ აქვს	საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციები			5		
26.	IPE 5050	არ აქვს	საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკა			5		
27.	SCME 5051	არ აქვს	ახლო აღმოსავლეთის გეოპოლიტიკა			4		
			<b>პოლიტიკისა და საჯარო მმართველობის ბლოკი</b>					
28.	SM 5050	არ აქვს	სტრატეგიული მენეჯმენტი	5				
29.	PCOM 5150	არ აქვს	პოლიტიკური კომუნიკაცია	5				
30.	PPA 5250	არ აქვს	საჯარო პოლიტიკის ანალიზი		6			
31.	MPPI 0050	არ აქვს	თანამედროვე პოლიტიკური ფილოსოფია და იდეოლოგიები			5		



№	კოდი	წინაპირობა	სასწავლო კურსი/მოდული	სწავლების წელი				ჯამური ECTS კრედიტი
				I		II		
				ECTS კრედიტი				
				I სემესტრი	II სემესტრი	III სემესტრი	IV სემესტრი	
32.	ESPP 5050	არ აქვს	საარჩევნო სისტემები და პოლიტიკური პარტიები			5		
			კვლევითი კომპონენტი					30
33.	MAT 5450	RM5250 IRT 5250	სამაგისტრო ნაშრომი				30	
ECTS კრედიტები			სემესტრში	30	30	27	33	120
			წელიწადში	60		60		120

**შენიშვნა:** საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში შეტანილი ცვლილებები სასწავლო პროცესზე აისახება 2019-2020 აკადემიური წლიდან.

საგანმანათლებლო პროგრამის პროფესორ-მასწავლებელთა რესურს-ბაზა

№	სახელი და გვარი	სტატუსი	საგანი
1.	ეკა აკობია	ასოცირებული პროფესორი <i>პროგრამის ხელმძღვანელი</i>	1. საერთაშორისო ურთიერთობების თეორია
			2. საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციები
			3. სამაგისტრო ნაშრომის კვლევის დიზაინი
2.	თორნიკე თურმანიძე	ასოცირებული პროფესორი <i>პროგრამის ანახელმძღვანელი</i>	4. საერთაშორისო კონფლიქტები და მშვიდობა
3.	კახა შენგელია	პროფესორი	5. მშვიდობა, კონფლიქტები და თანამშრომლობა კავკასიაში
4.	გურანდა ჭელიძე	პროფესორი	6. საარჩევნო სისტემები და პოლიტიკური პარტიები
5.	ქეთევან მუხიგული	ასოცირებული პროფესორი	7. პოლიტიკური თეორია
6.	გიორგი მუჩაიძე	ასოცირებული პროფესორი	8. საერთაშორისო უსაფრთხოება
			9. საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა
7.	ემირ ეთერია	ასოცირებული პროფესორი	10. საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკა
8.	თამარ ჩარკვიანი	ასოცირებული პროფესორი	11. კვლევის მეთოდები
9.	გრიგოლ გეგელია	ასისტენტ პროფესორი	12. თანამედროვე პოლიტიკური ფილოსოფია და იდეოლოგიები
10.	პაატა სირბილაძე	ასისტენტ პროფესორი	13. სტრატეგიული მენეჯმენტი
11.	გიორგი გოგუაძე	ასისტენტი	14. საერთაშორისო ტერორიზმი
12.	სერგი კაპანაძე	მოწვეული ლექტორი	15. კონფლიქტების მართვა და მოლაპარაკებები
			16. ევროპული ინტეგრაციის თეორიები
			17. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ევროპეიზაცია
			18. დიპლომატიური პროტოკოლი და ეტიკეტი
13.	თამარ თომაშვილი	მოწვეული ლექტორი	19. საერთაშორისო სამართალი
14.	ზურაბ დავითაშვილი	მოწვეული ლექტორი პროფესორი	20. ნაციონალიზმი და საერთაშორისო ურთიერთობები
15.	გიორგი ბაქრაძე	მოწვეული ლექტორი	21. ეკონომიკა
16.	ეკატერინე ბასილაია	მოწვეული ლექტორი	22. პოლიტიკური კომუნიკაცია
17.	ნოდარ ტანგიაშვილი	მოწვეული ლექტორი	23. საჯარო პოლიტიკის ანალიზი
18.	ლავრენტი გერაძე	მოწვეული ლექტორი	24. მშვიდობის თეორიები
			25. აფხაზეთის კონფლიქტი
19.	მადონა გიორგაძე	მოწვეული ლექტორი	26. აკადემიური წერა
20.	ქეთევან ჭუმბაძე	მოწვეული ლექტორი	27. რუსეთის მთავრობა და საგარეო პოლიტიკა
21.	გიორგი მჭედლიშვილი	მოწვეული ლექტორი	28. საგარეო პოლიტიკის ანალიზი: თეორიები და

			ქეისები
22.	ნიკო ქელბაქიანი	მოწვეული ლექტორი	29. ახლო აღმოსავლეთის გეოპოლიტიკა
23.	ნანა ფირცხელანი	მოწვეული ლექტორი	30. ენერგო რესურსების გეოპოლიტიკა
24.	ეკატერინე ქარდავა	მოწვეული ლექტორი	31. ევროკავშირთან ასოცირების საკანონმდებლო და ინსტიტუციური ასპექტები
25.	ჯოზეფ ლარსენი	მოწვეული ლექტორი	32. აშშ-ს მთავრობა და საგარეო პოლიტიკა

I. სწავლის შედეგების რუკა

შ ი ა მ ა რ ი თ ი ა ნ ს რ ა მ ა ს ო რ გ ა მ ა რ ი ბ ე რ ი მ ე რ ი ს ს წ ა ვ ლ ი ს კ უ რ ს ი ს	
<p>8. შეუძლია ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორებთან/აქტორებთან მჭიდრო თანამშრომლობით მიიღოს საერთაშორისო სამართლისა და სახელმწიფოთა თანამეგობრობაში დამკვიდრებული ფუნდამენტური პრინციპებისა და მშვიდობისა და სტაბილურობის დაცვაზე ორიენტირებული გადაწყვეტილებები. არის როგორც ინდივიდუალური, ასევე გუნდური მუშობის პრინციპების დამცველი.</p>	
<p>7. აქვს საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინაში და პროფესიაში არსებული ღირებულებებისა და ნორმების პატივისცემი; მოქმედებს და გადაწყვეტილებებს იღებს მათ შესაბამისად.</p>	
<p>6. შეუძლია კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა და განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; შეუძლია გაანალიზოს ახალი განყენებული მონაცემები, მიღებული ინფორმაცია დაამუშაოს და დაუკავშიროს კონკრეტულ პრაქტიკულ შემთხვევას. აქვს კვლევის შედეგების ანალიზის, სინთეზისა და ეფექტურად წარდგენის უნარი.</p>	
<p>5. შეესწავს უნარი სწავლის პროცესში მიღებული ინფორმაცია და უნარები შეუსაბამოს დიპლომატიურ პრაქტიკაში ან საერთაშორისო პოლიტიკაში შექმნილ გარემოებებს და გამოიყენოს კონკრეტული პრობლემის გადაჭრისათვის.</p>	
<p>4. შეუძლია საერთაშორისო ურთიერთობებში არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და გადაჭრა ნასწავლი თეორიული მიდგომების გამოყენებით; შეუძლია გააცნობიეროს ეროვნული, ან კონკრეტული ინტერესი, შეიმუშაოს ამ ინტერესის დამცველი პოზიცია, გამართოს დისკუსია ამ პოზიციის დაცვის მიზნით.</p>	
<p>3. აცნობიერებს საქართველოს მნიშვნელობას და როლს თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში; აქვს საერთაშორისო ურთიერთობების სისტემისა და სტრუქტურის ცოდნა და ამ სისტემაში საქართველოს ინტერესების მკაფიო აღქმა.</p>	
<p>2. გააზრებული აქვს საერთაშორისო პოლიტიკის არსი და საერთაშორისო სისტემის მნიშვნელობა, ამ სისტემაში აქტორებს შორის არსებული ურთიერთობების მოტივები, მიზნები და ურთიერთქმედების შესაძლო შედეგთა ფორმები. ესმის ამ ურთიერთობებში დიპლომატიის მნიშვნელობა და როლი.</p>	
<p>1. აქვს საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის სფეროს დრმა, სისტემური და ინტერდისციპლინური ცოდნა; აცნობიერებს საერთაშორისო პოლიტიკური პროცესების კომპლექსურ ხასიათს და მათ გავლენას სახელმწიფოთა ეროვნულ უსაფრთხოებასა და ეროვნულ ინტერესებზე.</p>	
<p>სასწავლო კურსი / მოდული / კონკრეტული კომპონენტი</p>	<p>სპეციალობის სავალდებულო კომპონენტი</p>
<p>ი ა დ რ ე ნ ი</p>	

I	საერთაშორისო ურთიერთობების თეორია	მაღალი <sup>1</sup>	საშუალო		დაბალი				
I	პოლიტიკური თეორია	მაღალი	საშუალო		დაბალი				
I	ეკონომიკა	მაღალი				საშუალო			დაბალი
I	აკადემიური წერა					დაბალი	საშუალო	მაღალი	
II	საერთაშორისო სამართალი	საშუალო	დაბალი						მაღალი
II	საერთაშორისო უსაფრთხოება		მაღალი		საშუალო				დაბალი
II	ნაციონალიზმი და საერთაშორისო ურთიერთობები		მაღალი		საშუალო				დაბალი
II	კვლევის მეთოდები					დაბალი	მაღალი	საშუალო	
III	კონფლიქტების მართვა და მოლაპარაკებები		საშუალო		მაღალი				
III	საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა			მაღალი			დაბალი	საშუალო	
IV	სამაგისტრო ნაშრომის კვლევის დიზაინი						მაღალი	საშუალო	დაბალი
IV	სამაგისტრო ნაშრომი					საშუალო	მაღალი		დაბალი
	სპეციალობის არჩევითი საგნები		საშუალო			მაღალი			დაბალი

<sup>1</sup> საგნის სწავლის შედეგის ურთიერთმიმართება პროგრამის სწავლის შედეგთან არის სამ დონიანი: მაღალი, საშუალო და დაბალი.

## II. პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა

პროგრამის სწავლის შედეგები	პროგრამის მიზნები	კურსდამთავრებულთა საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის შესახებ თეორიული, მულტიდისციპლინური, სისტემური და სიდრემისეული ცოდნით აღჭურვა.	კურსდამთავრებულთა საერთაშორისო პოლიტიკის სფეროსთან დაკავშირებული კონცეფციების, თეორიებისა და ანალიზის მოდელების საფუძვლიანი და პრაქტიკული ცოდნით აღჭურვა.	კურსდამთავრებულთა ინტერდისციპლინარული მიდგომების საფუძველზე, საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის სხვადასხვა საკითხებზე მკაფიო კომუნიკაციისა და შესაბამისი კვლევითი მეთოდების გამოყენებით კვლევითი თუ პოლიტიკის დოკუმენტის შექმნის უნარით აღჭურვა.	კურსდამთავრებულთა სამართლიანობის, აქტიური მოქალაქეობის, დემოკრატიული ფასეულობებისა და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებზე დაყრდნობით მართვისა და ლიდერული ფუნქციებით აღჭურვა.
1. აქვს საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის სფეროს ღრმა, სისტემური და ინტერდისციპლინური ცოდნა; აცნობიერებს საერთაშორისო პოლიტიკური პროცესების კომპლექსურ ხასიათს და მათ გავლენას სახელმწიფოთა ეროვნულ უსაფრთხოებასა და ეროვნულ ინტერესებზე.	<b>x</b>	<b>x</b>	<b>x</b>	<b>x</b>	<b>x</b>
2. გააზრებული აქვს საერთაშორისო პოლიტიკის არსი და საერთაშორისო სისტემის მნიშვნელობა, ამ სისტემაში აქტორებს შორის არსებული ურთიერთობების მოტივები, მიზნები და ურთიერთქმედების შესაძლო შედეგთა ფორმები. ესმის ამ ურთიერთობებში დიპლომატიის მნიშვნელობა და როლი.	<b>x</b>	<b>x</b>	<b>x</b>	<b>x</b>	<b>x</b>

<p>3. აცნობიერებს საქართველოს მნიშვნელობას და როლს თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში; აქვს საერთაშორისო ურთიერთობების სისტემისა და სტრუქტურის ცოდნა და ამ სისტემაში საქართველოს ინტერესების მკაფიო აღქმა.</p>	<b>x</b>	<b>x</b>		<b>x</b>
<p>4. შეუძლია საერთაშორისო ურთიერთობებში არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და გადაჭრა ნასწავლი თეორიული მიდგომების გამოყენებით; შეუძლია გააცნობიეროს ეროვნული, ან კონკრეტული ინტერესი, შეიმუშაოს ამ ინტერესის დამცველი პოზიცია, გამართოს დისკუსია ამ პოზიციის დაცვის მიზნით.</p>		<b>x</b>	<b>x</b>	<b>x</b>
<p>5. შესწევს უნარი სწავლის პროცესში მიღებული ინფორმაცია და უნარები შეუსაბამოს დიპლომატიურ პრაქტიკაში ან საერთაშორისო პოლიტიკაში შექმნილ გარემოებებს და გამოიყენოს კონკრეტული პრობლემის გადაჭრისათვის.</p>		<b>x</b>	<b>x</b>	
<p>6. შეუძლია კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა და განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; შეუძლია გააანალიზოს ახალი განყენებული მონაცემები, მიღებული ინფორმაცია დაამუშაოს და დაუკავშიროს კონკრეტულ პრაქტიკულ შემთხვევას. აქვს კვლევის შედეგების ანალიზის, სინთეზისა და ეფექტურად წარდგენის უნარი.</p>		<b>x</b>	<b>x</b>	<b>x</b>
<p>7. აქვს საერთაშორისო ურთიერთობებსა და დიპლომატიაში არსებული ღირებულებებისა და სამართლებრივი ნორმების პატივისცემა; მოქმედებს და გადაწყვეტილებებს იღებს საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური ნორმებისა და კანონის უზენაესობის პრინციპების გათვალისწინებით.</p>		<b>x</b>	<b>x</b>	<b>x</b>
<p>8. შეუძლია ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორებთან/აქტორებთან მჭიდრო თანამშრომლობით მიიღოს საერთაშორისო სამართლისა და სახელმწიფოთა თანამეგობრობაში დამკვიდრებული ფუნდამენტური პრინციპებისა და მშვიდობისა და სტაბილურობის დაცვაზე ორიენტირებული გადაწყვეტილებები. არის როგორც ინდივიდუალური, ასევე გუნდური მუშაობის პრინციპების დამცველი.</p>		<b>x</b>	<b>x</b>	<b>x</b>